ახალი თავი 5 (სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები)

თავი 5

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

მუხლი 5.1 - მიზნები

ამ თავის მიზნებია:

(a) მხარეთა შორის ვაჭრობის ხელშეწყობა, ამავდროულად, თავიანთ ტერიტორიებზე ადამიანის, ცხოველების ან მცენარეების სიცოცხლისა ან ჯანმრთელობის დაცვა;

(b) თითოეული მხარის ტერიტორიაზე გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და თითოეული მხარის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების (შემდგომში წოდებული როგორც „SPS ზომები") გამოყენებასთან დაკავშირებით საერთო შეთანხმების გაღრმავება;

(c) მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება; და

(d) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმების 1A დანართით განსაზღვრული *„სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების შესახებ" შეთანხმების* (შემდგომში წოდებული როგორც „SPS შეთანხმება") პრინციპების იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

მუხლი 5.2 - გამოყენების სფერო

წინამდებარე თავი გამოიყენება მხარეების მიერ განხორციელებულ ყველა SPS ზომებთან მიმართებით, რომელმაც შესაძლოა პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენა იქონიოს მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობაზე.

მუხლი 5.3 - განმარტებები

ამ თავის მიზნებისათვის გამოიყენება SPS ზომების შეთანხმების A დანართში მოცემული განსაზღვრებები.

მუხლი 5.4 - SPS შეთანხმების დადასტურება

მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ SPS შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი 5.5 - რისკის შეფასება

მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი SPS ზომები ეფუძნება, გარემოების შესაბამისად ადამიანების, ცხოველების ან მცენარეების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის რისკის შეფასებას როგორც ეს მოცემულია SPS შეთანხმების მე-5 მუხლში, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რისკის შეფასების ტექნიკის გათვალისწინებით.

მუხლი 5.6 - ჰარმონიზაცია

1. მხარეებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ, რათა მათი SPS ზომები ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, სახელმძღვანელო წესებს ან რეკომენდაციებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. მხარეებმა, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთში უნდა გააძლიერონ კომუნიკაცია, თანამშრომლობა და კოორდინაცია მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC), კოდექს ალიმენტარიუსის კომისიისა (Codex) და ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ფარგლებში.

მუხლი 5.7 - რეგიონალიზაცია

მხარეები აღიარებენ რეგიონალიზაციის პრინციპებსა და მის იმპლემენტაციას, როგორც ეს მოცემულია SPS შეთანხმების მე-6 მუხლში და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ შესაბამის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო წესებში.

მუხლი 5.8 - ეკვივალენტობა

1. თითოეული მხარე აღიარებს მეორე მხარის SPS ზომებს, როგორც საკუთარის ექვივალენტურს, თუ ექსპორტიორი მხარე ობიექტურად წარმოუჩენს მეორე მხარეს, რომ მისი ზომები აკმაყოფილებს მეორე მხარის დაცვის შესაბამის დონეს. ამ მიზნით, მოთხოვნის შემთხვევაში, იმპორტიორ ქვეყანას მიეცემა სათანადო დაშვება ინსპექტირების, ტესტირებისა და სხვა შესაბამისი პროცედურების განსახორციელებლად.

2. მოთხოვნის შემთხვევაში, მხარე დაუყოვნებლივ იწყებს კონსულტაციებს, რათა მიაღწიოს ორმხრივ აღიარების შეთანხმებებს კონკრეტული სანიტარიული ან ფიტოსანიტარიული ზომების ეკვივალენტობაზე. ასეთი ორმხრივი აღიარების შეთანხმებების ფარგლებში ეკვივალენტობის აღიარება შეიძლება განხორციელდეს ერთ ღონისძიებასთან, ღონისძიებათა ჯგუფთან ან სისტემის მასშტაბით.

3. ეკვივალენტობის აღიარების კონსულტაციის ფარგლებში, ექსპორტიორი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, იმპორტიორმა მხარემ უნდა ახსნას და წარმოადგინოს: (a) მისი

ზომების დასაბუთება და მიზანი; და (b) კონკრეტული რისკები, რომელთა გადაჭრასაც მისი ზომები ისახავს მიზნად.

4. ექსპორტიორი მხარე უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, რათა იმპორტიორმა მხარემ შეძლოს ეკვივალენტობის შეფასების დაწყება. შეფასების დაწყებისთანავე, იმპორტიორი მხარე მოთხოვნის შემთხვევაში და გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე განმარტავს პროცესს და წარმოადგენს ეკვივალენტობის განსაზღვრის გეგმის შესახებ ინფორმაციას.

5. ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მოთხოვნის განხილვა, კონკრეტულ პროდუქტთან ან პროდუქტების ჯგუფთან მიმართებით მისი ზომების ეკვივალენტობის აღიარების შესახებ, თავისთავად არ უნდა გახდეს აღნიშნული პროდუქტის ან პროდუქტების მიმდინარე იმპორტის შეწყვეტის ან შეჩერების მიზეზი.

მუხლი 5.9 - გამჭვირვალობა

1. თითოეული მხარე ადასტურებს, რომ ხელმისაწვდომს გახდის ინიცირებული ახალი ან შეცვლილი SPS ზომების შესახებ ინფორმაციას SPS შეთანხმების მიერ დადგენილი შეტყობინების ვალდებულების შესაბამისად.

2. თითოეული მხარე ვალდებულია, მომთხოვნი მხარის მიერ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში, ხელმისაწვდომი გახადოს მისთვის ცნობილი SPS ზომების სრული ტექსტი, არსებულ ენებზე.

3. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს შენიშვნების წარსადგენად განუსაზღვროს სულ მცირე 60 დღე ინიცირებული სანიტარიული ან ფიტოსანიტარიული ზომების WTO-ში შეტყობინების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან მცენარის სიჯანსაღეს წარმოეშვა რისკი ან არსებობს ასეთი რისკის წარმოშობის საფრთხე, რაც მოითხოვს გადაუდებელი ქმედებების განხორციელებას.

4. თითოეული მხარე ვალდებულია მხედველობაში მიიღოს მეორე მხარის შენიშვნები და, მოთხოვნის შემთხვევაში, გონივრულ ვადებში მოახდინოს მათზე რეაგირება.

5. იმპორტიორი მხარე ვალდებულია დროულად და სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს მეორე მხარეს 5.13 მუხლით (საკონტაქტო პირები) განსაზღვრული საკონტაქტო პირების ან მხარეთა უკვე შექმნილი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, იმ შემთხვევაში, თუ იმპორტიორი მხარის მიერ იდენტიფიცირებულ ექსპორტირებულ ტვირთებთან დაკავშირებით ადგილი აქვს მნიშვნელოვან ან განმეორებად სანიტარიული ან ფიტოსანიტარიულ შეუსაბამობას.

მუხლი 5.10 - ტექნიკური თანამშრომლობა

1. მხარეები თანხმდებიან რომ გააძლიერონ ტექნიკური თანამშრომლობა SPS საკითხებზე, მათ შორის, ინფორმაციის გაცვლა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის სანიტარიული და/ან ფიტოსანიტარიული იმპორტის მოთხოვნების შესახებ, მხარეთა მარეგულირებელი სისტემების ურთიერთგაგების გაღრმავებისა და ერთმანეთის ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობის მიზნით.

2. თითოეული მხარე, მოთხოვნის შემთხვევაში, სათანადოდ განიხილავს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ თანამშრომლობას.

მუხლი 5.11 ტექნიკური კონსულტაციები

თუ რომელიმე მხარე მიიჩნევს, რომ სანიტარიული ან ფიტოსანიტარიული ღონისძიება გავლენას ახდენს მის ვაჭრობაზე მეორე მხარესთან, მას შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარესთან ტექნიკური კონსულტაციების გამართვა, რათა მოგვარდეს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი გაუგებრობა, რომელიც წარმოიშობა აღნიშნული სანიტარიული ან ფიტოსანიტარიული ზომის გამოყენების შედეგად. მოთხოვნის მიმღები მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ უპასუხოს ასეთი კონსულტაციის ნებისმიერ გონივრულ მოთხოვნას. კონსულტაციაში მონაწილე მხარეები ყველა შესაძლო ძალისხმევას გამოიყენებენ ორმხრივად დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 5.12: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტი

1. ამ თავის ეფექტური განხორციელებისა და ფუნქციონირების მიზნით, მხარეები ქმნიან სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ საკითხთა ქვეკომიტეტს (შემდგომში „SPS ქვეკომიტეტი"), რომელიც შედგება მხარეთა შესაბამისი სამთავრობო ორგანოების წარმომადგენლებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებზე.

2. SPS ქვეკომიტეტის ფუნქციებია:

(a) ამ თავის განხორციელების მონიტორინგი;

(b) ორმხრივი ინტერესის მქონე სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ საკითხებზე კონსულტაციების გაწევა;

(c) სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ საკითხებზე კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება;

(d) მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა ფუნქციების შესრულება; და

(e) რეკომენდაციების წარდგენა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (FTA) ერთობლივი კომისიისთვის ანგარიშის წარდგენა.

3. SPS ქვეკომიტეტი თანათავმჯდომარეობს და იკრიბება წელიწადში ერთხელ, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული. SPS ქვეკომიტეტს შეუძლია შეხვედრა პირადად ჩაატაროს ან ურთიერთშეთანხმებული ნებისმიერი სხვა საშუალებით.

4. SPS ქვეკომიტეტს შეუძლია შექმნას *ad hoc* სამუშაო ჯგუფები კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 5.13: საკონტაქტო პირები

1. თითოეული მხარე გამოყოფს საკონტაქტო პირს, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ამ მხარისთვის ამ თავის შესრულების კოორდინაციაზე. საკონტაქტო ორგანოებია:

(a) საქართველოს შემთხვევაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო ან მისი მემკვიდრე; და

(b) ჩინეთის შემთხვევაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბაჟოების გენერალური ადმინისტრაცია ან მისი მემკვიდრე.

2. თითოეული მხარე მეორე მხარეს მიაწვდის მის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი ორგანოს სახელს და აღნიშნულ ორგანიზაციაში შესაბამისი საკონტაქტო პირის ინფორმაციას, მათ შორის, ტელეფონი, ფაქსიმილე, ელ-ფოსტა და ნებისმიერი სხვა დეტალი.

3. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს დროულად შეატყობინოს საკონტაქტო ორგანოსთან და შესაბამის საკონტაქტო პირთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.